ყოველწლიური შეჯიბრი კლიენტთა კონსულტირების უნარ-ჩვევებში

ქალბატონებო და ბატონებო,

გვსურს, მოგიწვიოთ კლიენტთა კონსულტირების ყოველწლიურ შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად. შეჯიბრის ორგანიზებასა და ადმინისტრირებას ახორციელებს USAID/JILEP-ის პროგრამა და აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI). აღნიშნულ წერილში მოცემულია ტრენინგსა და შეჯიბრთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თარიღები და საინფორმაციო საკითხები.

მიზანი

პროგრამის მიზანია სტუდენტებისთვის კლიენტთა კონსულტირების მნიშვნელოვანი უნარების განვითარება. ვინაიდან, აღნიშნული უნარები ადვოკატის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილია, JILEP-ის მიზანია, სტუდენტებს მისცეს შესაბამისი საბაზისო ცოდნა და ამ უნარების დახვეწის შესაძლებლობა საინტერესო და გასართობ გარემოში.

ტრენინგი

ტრენინგი ემსახურება სტუდენტებისა და მათი ინსტრუქტორების შეჯიბრისთვის მომზადების მიზანს. ტრენინგი ჩატარდება ლექციებისა და უნარ-ჩვევების დემონსტრირების ფონზე, რისთვისაც საერთაშორისო ექსპერტები იზრუნებენ. ტრენინგის მსვლელობისას მონაწილეებს საშუალება ექნებათ ჩაერთონ კლიენტთა კონსულტირების სიმულაციურ სესიებში და მოისმინონ ექსპერტების შეფასება.

ტრენინგი ჩატარდება 2014 წლის 25-26 იანვარს. მოხარული ვიქნებით, ტრენინგზე ვიხილოთ თქვენს მიერ წარდგენილი ორი სტუდენტისგან შემდგარი გუნდი და ერთი ინსტრუქტორი, რომლებიც შეჯიბრში თქვენი უნივერსიტეტის სახელით იასპარეზებენ. თითო უნივერსიტეტიდან შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მხოლოდ ერთი გუნდი. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს სურს მონაწილეობა მიიღოს კლიენტთა კონსულტირების უნარ-ჩვევების შეჯიბრში, მაშინ სავალდებულოა დაესწროს 25 და 26 იანვარს დაგეგმილ კლიენტთა კონსულტირების ტრეინინგს. ვინაიდან შეჯიბრი ინგლისურ ენაზე ჩატარდება, ტრენინგის ენაც ინგლისური იქნება. სკოლებმა უნდა გადმოაგზავნონ ტრენინგის მონაწილეთა სია 15 იანვრამდე. გამომდინარე

იქედან, რომ ადგილები შეზღუდულია, მონაწილეთა სიაში მოხვდება მხოლოდ ის უნივერსიტეტი, რომელიც მონაცემებს სხვაზე ადრე გადმოაგზავნის. მას შემდეგ, რაც დარეგისტრირდება პირველი 8 გუნდი, JILEP შეაჩერებს რეგისტრაციის პროცესს. შესაბამისად რეგისტრაციის პროცესი შესაძლოა შეჩერდეს 15 იანვრამდეც, თუ 8 გუნდი ამ თარიღამდე მოასწრებს დარეგისტრირებას.

სამუშაო ღონისძიებასთან დაკავშირებული ხარჯებს (საკონფერენციო დარბაზი, კვება) დაფარავს JILEP.

შეჯიბრი
შეჯიბრი ჩატარდება 27-28 იანვარს თბილისში. შეჯიბრის ჩატარების ზუსტ ადგილმდებარეობას რეგისტრაციის შემდეგ გაცნობებთ.

თითოეული გუნდი შედგება ორი სტუდენტისგან. კანდიდატები უნდა იყვნენ სამართლის შესაბამისი სკოლის **ბაკალავრიატის** ის **სტუდენტები**, რომელთაც გაიარეს კლიენტთა კონსულტირების ტრენინგი; ანუ ტრენინგზე და კონურსზე წარმოდგენილი გუნდების შემადგენლობა ანალოგიური უნდა იყოს. *არც შეჯიბრზე და არც ტრეინინგზე არ დაიშვებიან ის სტუდენტები, რომლებსაც ანალოგიურ ტრეინინგში გასულ წელს მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული.*
ტრენინგის შემდეგ მონაწილეები გადაინაცვლებენ შეჯიბრის ეტაპზე.

შეჯიბრზე, თითოეული გუნდი რომელშიც ორი სტუდენტი შედის, შეასრულებს ადვოკატის როლს სიმულირებულ იურიდიულ ფირმაში. მათ აქვთ 45 წუთი, რათა შეხვდნენ ახალ კლიენტს, გამოარკვიონ კლიენტის პრობლემა, მისცენ რჩევა, გაუწიონ კონსულტაცია და ჩაებან კონსულტაციის შემდგომ დისკუსიაში. შესაბამის უნარ-ჩვევათა ეფექტურობა შეფასდება მოსამართლეების მიერ. გამარჯვეული გუნდი დასახელდება ეროვნულ ჩემპიონად. JILEP გეგმავს ამ გუნდის პუერტო რიკოში, კლიენტთა კონსულტირების საერთაშორისო შეჯიბრზე გაშვებას, რომელიც 2014 წლის აპრილის თვეში ჩატარდება. ამა წლის შეჯიბრის ზოგადი თემა იქნება *„Commercial Contracts”.*

შესარჩევი რაუნდი ჩატარდება 27 იანვარს. აღნიშნული რაუნდები დახურული იქნება გარე დამკვირვებლებისთვის. ფინალური რაუნდები (28 თებერვალი) იქნება საჯარო. ფინალურ რაუნდს მოჰყვება დაჯილდოების ცერემონია.

ტრენინგის მსვლელობისას JILEP მონაწილე სამართლის სკოლებს დაურიგებს და გააცნობს შეჯიბრის ოფიციალურ წესებს და ქეისებს.

ჯილდო

ჩვენი გეგმით, გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება და გაიგზავნება 2014 წლის კლიენტთან კონსულტაციის საერთაშორისო შეჯიბრზე (ICCC) პუერტო რიკოში, 2014 წლის აპრილში. როგორც საქართველოში ჩატარებული ტრენინგი და შეჯიბრი, ICCC-შიც ინგლისურად ჩატარდება. საერთაშორისო შეჯიბრზე დასწრების ხარჯებს დაფარული იქნება ჩვენს მიერ. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გამარჯვებულ სტუდენტებს ესაჭიროებათ ძალაში მყოფი პასპორტი. ორგანიზატორები ვერ დააფინანსებენ პასპორტის მიღების ხარჯებს, თუმცა დაფარავენ ვიზის ხარჯებს.[1]

ვადები

15 იანვარი	სამუშაო ღონისძიების მონაწილეთა სიის გამოგზავნის ბოლო ვადა;
25-26 იანვარი	კლიენტთა კონსულტირების ტრენინგი;
27-28 იანვარი	შეჯიბრი კლიენტთა კონსულტირებაში;
2014 აპრილი	საერთაშორისო შეჯიბრი კლიენტთა კონსულტირებაში (პუერტო რიკო);

ზოგადი ინფორმაცია საერთაშორისო რაუნდებთან დაკავშირებით შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ გვერდზე http://www.brownmosten.com.

კითხვების შემთხვევაში დაუკავშირდით **ლანა ჩხარტიშვილს** ნომერზე **595 01 47 48** ან ელ. ფოსტაზე: lchkhartishvili@ewmi-jilep.org

კეთილი სურვილებით,

სტივენ ოსტერმილერი
მრჩეველი იურიდიული განათლების საკითხებში
USAID JILEP პროგრამა

[1] წინამდებარე წერილით JILEP არ კისრულობს გარანტიას, რომ იგი დააფინანსებს გამარჯვებული გუნდის გამგზავრებას პუერტო რიკოში ან უზრუნველყოფს მის მონაწილეობას ამ შეჯიბრში.